აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 09

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. 2004 წლის 4 ივნისის არჩევნებზე კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტება განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის შევსებას ახორციელებს რეგისტრატორი, რომელიც საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების დანაწილების მიზნით, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნისთანავე ჩატარებული წილისყრის მეშვეობით გამოვლინდება. წილისყრა, რომელიც ტარდება საქართველოს ორგანული კანონის ,, საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' 52-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ითვალისწინებდეს ერთი დამატებითი რეგისტრატორის ფუნქციას.

ბ) აღნიშნული რეგისტრატორი იკავებს განცალკევებით მდგომ მაგიდას და მას ევალება ერთიანი სიის არჩევნების დღეს დაზუსტების რეესტრის შევსება 2004 წლის 20 ივნისს საარჩევნო უბანში მოსული იმ ამომრჩევლების მონაცემებით, რომლებიც არ არიან ამომრჩეველთა სიაში.

გ) ამ ამომრჩეველთა მონაცემები რეგისტრატორის მიერ შეიტანება ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმაში (ფორმა №4-1.05.01),

ამ პროცედურის შემდეგ რეგისტრატორი ამომრჩეველზე კანონით დადგენილი წესით გასცემს დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენს.

მუხლი 2.

ა) ამომრჩეველი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიყვანება ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმაში, თუ იგი არ არის ამომრჩეველთა ერთიან (ნაბეჭდ) სიაში და მის მიერ წარდგენილ დოკუმენტში მითითებული რეგისტრაციის ადგილი მდებარეობს ამ საარჩევნო უბნის საზღვრებში.

ბ) რეგისტრატორი ერთიანი სიის არჩევნების დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმაში, ამომრჩეველთა ნუმერაციას განახორციელებს პირველი გრაფიდან, 01-დან. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ერთიანი სიის არჩევნების დღეს დაზუსტების რეესტრის ფურცლები დაილუქება ცალკე პაკეტად და საარჩევნო უბანში ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე